პროლეტარიანო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

СССР

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 258 (18500) ოთხშაბათი, 10 ნოემბერი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

## მანვამტკიცოთ ცხოვრებასთან სკოლის კავშირი

**საქართველოს მასწავლებელთა**

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გულითადად მოგესალმებათ მასწავლებელთა მეხუთე ყრილობის ფილეგატებს და თქვენ სახით რესპუბლიკის ყველა მასწავლებელს, სახალხო განათლების ყველა მუშაკს, ინოს, ვინც ცოდნასა და ენერგიას არ იშურებს მოსწავლე ახალგაზრდობის სწავლებისა და კომუნისტური აღზრდისათვის.

მასწავლებელთა V ყრილობა შეეკრიბა ღირსშესანიშნავ პერიოდში, როცა რესპუბლიკის მშრომელები დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ეითარებაში ემზადებიან აღნიშნონ მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 60 წლისთავი და გეორგიევსკის ტრაქტატის — რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და ძმობის პირველი მანიფესტის 200 წლისთავი. რესპუბლიკის მშრომელებმა სიამაყისა და ამაყოფილების გრძნობით აღიქვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისათვის მოსამზადებლად საქართველოს სს რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“, სადაც ყოველმხრივ და საფუძველიანად არის შეფასებული საქართველოს კომპარტიის ბოლო ათწლეულის მოღვაწეობა და მისი შედეგები. ამ წარმატებებში თქვენი დიდი წვლილიც არის, ძვირფასო პედაგოგებო, სახალხო განათლების ფრონტის თავდადებული მუშაკებო!

საქართველოს სსრ მასწავლებელთა IV ყრილობიდან განვლილ ხუთწლეულს ახასიათებს სკოლისადმი, მისი პრობლემებისადმი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ყურადღების გაძლიერება, რის შედეგადაც მიღწეულია თვალსაჩინო წარმატებანი მოზარდი თაობის იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის საქმეში. განვლილი პერიოდის მანძილზე რესპუბლიკაში დამთავრდა გადასვლა საყოველთაო საშუალო განათლებაზე, ამაღლდა სწავლების ხარისხი, გეოგრაფიულად აკადემიური წარმატება, განტკიცდა სასწავლო და შრომის დისციპლინა, სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების მატერიალური ბაზა, იხვეწება სასწავლო პროგრამები და სასკოლო სახელმძღვანელოები. ■ ყოველივე ეს, უწინარეს ყოვლისა, რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანებისა და პედაგოგიური კოლექტივების ნაყოფიერი მუშაობის შედეგია.

ახალი ამოცანები დაუსახეს განათლების მუშაკებს სკკპ XXVI ყრილობამ და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობამ. ახლა მთავარია ავამაღლოთ სკოლებში სწავლების, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის ხარისხი, აღვკვეთოთ ფორმალიზმი მასწავლებელთა და მოსწავლეთა შრომის შედეგების შეფასებაში, საქმით განვამტკიცოთ ცხოვრებასთან სწავლების კავშირი, უკეთ მოვამზადოთ მოსწავლენი სახოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში; სკოლების პედაგოგიურმა და მოსწავლეთა კოლექტივებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ სასურსათო პროგრამის განხორციელებაში.

საპირია განვამტკიცოთ კავშირი ზოგადსაგანმანათლებელი სკოლასა და პროფესიულ-ტექნიკური განათლების დაწესებულებებს შორის, ერთობლივი ღონისძიებებით უზრუნველვყოთ ზოგადი საშუალო განათლების მაღალი დონე და მეამბოხეობა ცალის მომზადება.

ღრმად გართ დარწმუნებულნი, რომ რესპუბლიკის მასწავლებლობა, ჩვენი სახალხო ინტელიგენციის ერთ-ერთი მოწინავე რაზმი, წარმატებით გაართმევს თავს ამ პასუხსაგებ ამოცანებს.

პარტია, სამშობლო, ხალხი დიდად აფასებენ თქვენს თავდადებულ შრომას. ნორჩი თაობის აღმზრდელთა სუკეთესო წარმომადგენლებს მიენიჭათ საპატიო წოდებანი, ასობი ორეულია არიან. უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებად, დაჯილდოებულნი არიან სამშობლოს მაღალი ჯილდოებით.

სახალხო განათლების სფეროში მომუშავეთა წარმატებანი თვალსაჩინოა, ისინი თქვენი კეთილსინდისიერი შრომის ნაყოფია. მაგრამ დღეს ჩვენი კეთილი წარმატებანი წყვეტს ახალ, მასშტაბითა და მნიშვნელობით კიდევ უფრო გრანდიოზულ ამოცანებს. ისეთ პირობებში განუზომლად იზრდება მასწავლებლის როლი და პასუხისმგებლობა, იგი მოწოდებულია აღზარდოს საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით განმსჭვალული ადამიანები, რომელნიც შეძლებენ თავიანთი ღრმა ცოდნითა, შემოქმედებითი აზროვნების უნარით, ნებისყოფით, იდეური და შრომითი წრფოთნი ღირსეულად შეეცვლონ დღევანდელი თაობა, ერთგულად და თავდადებით დაიცვან პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესები. ყოველივე ამის წარმატებით შესრულება კი მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ სისტემატიურად აზროვნებთ პედაგოგიური კვალიფიკაციისა და იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონის ამაღლებისათვის, აქტიურ მონაწილეობას მიიღებთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ჩვენი დროის მოთხოვნათა შესაბამისად მასწავლებელი მოწოდებულია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდეს მოსწავლეების მიერ მეცნიერებათა საფუძვლების შეგნებულად და მტკიცედ დაუფლებას, თავისი ალსაზრდელებს შემოქმედებითი აზროვნებისა და უნარის განვითარებას, განუწყვეტელ სრულყოფდეს ახალგაზრდა თაობის იდეურ-პოლიტიკურ, შრომითს, ზნეობრივ, ესთეტიკურ და ფიზიკურ აღზრდას, ეფექტიანად იყენებდეს გაკვეთილებზე სწავლების თანამედროვე ნერგნებსა და მეთოდებს, პედაგოგიკის მეცნიერებათა მიღწევებს; ზრდიდეს ყოველმხრივ განვითარებულ კომუნისტურ პიროვნებას.

თანამედროვე პირობებში მკვეთრად იზრდება პედაგოგიური ინსტიტუტების, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების კოლექტივების, მთელი სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების როლი და პასუხისმგებლობა.

თავის მხრივ, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოები, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები დღეინდადგ უნდა იზრდნენ ყურადღებას სახალხო განათლების პრობლემებისადმი, ყოველნაირად ზრუნავდნენ სკოლისა და მასწავლებლისათვის, სასკოლო და სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განტკიცებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო დიდ წარმატებებს უსურვებენ მასწავლებელთა მეხუთე ყრილობას და გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებელო სკოლების მასწავლებლებო, სახალხო განათლების მუშაკებო კვლავაც ღირსეულად შეასრულებენ თავიანთ დიდ მოვალეობას პარტიისა და ხალხის წინაშე — ძალისა და ცოდნის, გულის სითბოსა და სულიერ ენერგიას უშურველად მიუძღვნიან ახალგაზრდა თაობის სწავლებისა და კომუნისტური აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი;**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი;**
**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.**

## ოქტომბრის საქმის ერთგულება

ბევრმა ქვეყანამ საზეიმო ვითარებაში აღნიშნა თავისი ყველაზე დიდი დღესასწაული — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წლისთავი. სამოცდახუთი წლის წინათ იშვა მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფო, რომლის მაგალითი შთამაგონებელი წყარო გახდა პლანეტის მშრომელი მასებისათვის. ჩვენთან ერთად რევოლუციური დღესასწაული აღნიშნეს ჩვენმა მეგობრებმა მეძმე სოციალისტურ ქვეყნებში, ყველამ, ვისთანაც ძვირფასია მშვიდობისა და სოციალური პროგრესის ინტერესები.

„ჩვენი ქვეყანა — პარტელმკვალავთა ქვეყანა, ენთუზიასტთა და მშრომელთა ქვეყანა ტრადიციისამებრ თავისი დამადების დღეს ეგებება კომუნისტური მშენებლობის ყველა დარგში მოპოვებული წარმატებებით, — აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა კრემლის ყრილობათა სასახლეში გამართულ დარბაზობაზე-გამოსვლის დროს. — ბულდოჯერებელი ტემპით ვითარდება ეკონომიკა, მეცნიერება, ტექნიკა, მაღლდება ხალხის კულტურისა და განათლების დონე, უმჯობესდება საზოგადოებრივი კეთილდღეობა, საბჭოთა ადამიანები ემზადებიან ახალი შრომითი გამარჯვებებით შეხვდნენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 60 წლისთავს“.

საფიდესასწაულო დღეების, იხეკე როგორც ყოველთვის, შთამბეჭდავი ყოველენები გაიდა პარადი და მშრომელთა დემონსტრაცია მოსკოვის წითელ მოედანზე, მიმზიდველი მანიფესტაციები მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში, ჩვენი სამშობლოს ქალაქებსა და სოფლებში. სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის მილიონობით ადამიანი ჩადგა საოქტომბრო კოლონებში, რომლებშიც ვნახეთ პარტიისა და შრომის ვეტერანები, დიდი სამამულო ომის გმირები, წარმოების მოწინავეები და ნოვატორები, ახალგაზრდობა, რომელიც უფროსებისაგან კომუნისტური აღმშენებლობის ესტაფეტას იღებს. საბჭოთა ადამიანების ამ ერთიანობით, თაობათა სახელოვანი ტრადიციების მემკვიდრეობითობით კვლავ ახალი ძალით გამოჩნდა საბჭოთა ხალხის ერთგულება დიდი ოქტომბრის საქმისადმი, მისი ურღვევი შეკავშირება თავისი ნაცადი ავანგარდის — კომუნისტური პარტიის გარშემო ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების ლენინური მეგობრობა.

ძალების, შემოქმედებითი ენერგიისი აღსავსე შეეგება თავის დაბადების დღეს საბჭოეთი. დიდი ოქტომბრის საქმე დღეს ცოცხლობს მისი შვილების — პატრიოტების, ინტერნაციონალისტების გულში, მათი ყოველდღიური შრომით ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, მისი სამდიდრის გამრავლებისათვის, მათ ფიერებსა და მიღწევებში, ცხოვრების ამ წესში, რომელსაც საბჭოური ვფუოდებთ. დიდი ოქტომბრის საქმე ცოცხლობს პლანეტაზე მტკიცე მშვიდობისათვის, ქვეყნად წმიდათაწმიდა უფლებას — სიცოცხლის უფლებისათვის საბჭოთა ადამიანების შეუფოვარ ბრძოლაში.

მეთრმეტე ხუთწლედის თითქმის ორი წელი გავიდა. ამ წლებმა ჩაიარა სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა ძმლავრი ზემოქმედებით, რომელმაც განსაზღვრა მომწიფეული სოციალიზმის პირობებში ჩვენი სახოგადოების მეცნიერულად დახარბებული სტრატეგია, ნივრი რამ გაკეთდა ამ დროის მანძილზე. ამოქმედდა ახალი ფაბრიკა-ქარხნები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები, მიმდინარეობს მოქმედი საწარმოების ტექნიკური განახლება და რეკონსტრუქცია. წინასწარ მონაცემებით სამრეწველო პროდუქციის მოცულობა ორი წლის მანძილზე 6,8 პროცენტით გაიზრდება.

ოსტატობა, სიქმის ზუსტი ორგანიზაცია დაუპირისპირეს ამინდის ეირეულობას სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. ისინი ცდილობენ უკვე წელს ღირსეული წვლილი შეიტანონ XXVI კპკ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის მიერ მოწონებული ხუთწლისათო პროგრამის რეალიზაციაში. ბეგრმა ეკეთეურნეობამ და სამეურნეობამ, მთელმა რიგმა ოლქებმა, მხარეებმა და რესპუბლიკებმა ოქტომბრის წლისთავის წინ სამშობლოს უპატაკეს, რომ კარგი შედეგები მოიპოვეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და დამზადებაში.

სოციალიზმი წარმოშობს ახალ დამოკიდებულებას შრომისადმი. დღეს საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეობს ათობით მილიონი ადამიანი. ამ ელანდები ხაზოგადოებრივი მოვალეობის, შრომაში გმირობისა და თავდადების გაგების მაგალითები. სამამაცი ახეთი დამოკიდებულების ნიმუშს იძლევიან წარმოების მოწინავეები და ნოვატორები, რომელთა დიდ ჯგუფს ოქტომბრის დღესასწაულის წინ მიენიჭა 1982 წლის სახელმწიფო პრემიების ლაურეატთა წოდება.

აღნიშნავენ რა რევოლუციურ თარიღს საბჭოთა ადამიანები დამკვიდრებული ტრადიციისამებრ მოელ ყურადღებას მიაპყრობენ შემდგომი მუშაობის მთავარ მიმართულებებს, მათ შორის ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემებს. ჩვენ ვიცით, მაგალითად, რომ ცალკეული საწარმოების გაერთიანებებისა და თვით დარგების სამეურნეო საქმიანობის შედეგები შეიძლება უკეთესი იყოს, ჯერ კიდევ ყველგან უნარიანად ვერ იყენებენ ზრდის რეზერვებს, არ იჩენენ ხასხარებს სათანადო მომზირნეობას, ეკონომიას. პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებები, პროფკავშირები და კომკავშირი მოვალენი არიან განამტკიცონ დამკვიდრული ხაოქტომბრო ვარბიტებანი, შრომითი კოლექტივების მეცადინეობა წარმართონ მომდინარე წლის გეგმა-ვალდებულებათა მოლიანად და გადაკრბებით შესრულებისათვის. საქმე იმას ეხება, რომ კვლავაც გულმოდგინედ ვიმუშაოთ წარმოების ეფექტიანობის, პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის, ეკონომია ეკონომიური უნდა იყოს!

დიდმა ოქტომბერმა მშრომელ ადამიანს ფართო პერსპექტივები ეუსახა, იგი ქვეყნის ნამდვილ ბატონ-პატრონად აქცია. საბჭოთა ადამიანები აქტიურად მონაწილეობენ სახელმწიფოს საქმეთა მართვაში, ნამდვილად აქვთ უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც არ არის და არც შეიძლება იყოს კაპიტალიზმის დროს. დღეინდადგ ვითარდება და იხვეწება სოციალისტური დემოკრატია — მოიშუშავე, მოქმედი დემოკრატია. ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის, ყველაფერი მისი ბედნიერებისათვის — ეს მიაჩნია ლენინურ პარტიას თავისი საქმიანობის უმაღლეს აზრად.

ოქტომბრის დღესასწაულის დროს დიდი ძალით გაიხმა საბჭოთა ეოს მოწოდებანი; რომ განმტკიცდეს მშვიდობის საქმე პლანეტაზე. სოციალიზმი და მშვიდობა განუყოფელია. საბჭოთა კავშირი კვლავაც შეუპოვრად იბრძოლებს დაძაბულობის შენელებისათვის, განიარაღებისათვის, აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა. ჩვენ გავაძლიერებთ მეცადინეობას ამისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ბირთვული ომის საფრთხე. სწორედ ამას ისახავს მიზნად სსრ კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის მომავ ქვეყნების საგარეოპოლიტიკური ინიციატივები. ამ ინიციატივებს მხარს უჭერს მილიონობით ადამიანი ყველა კონტინენტზე. ოქტომბრის სამშობლოს პოლიტიკის არსია მშვიდობისმოყვარეობა, ყოველწელი მისწრაფება ყველა ამბოხად თანაწორფულებიანი და ნაყოფიერი თანამშრომლობისაკენ, ვისაც ახეთი თანამშრომლობა სურთ.

საბჭოთა ადამიანები გულდაჯერებით შეხედავენ ხვალინდელ დღეს. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ხალხი უკვე მეშვიდე ათწლეულია განაგრძობენ დიდი ოქტომბრის საქმეს, რომელმაც ახალი ეპოქა დაიწყო კაცობრობის ისტორიაში.

## ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲖᲠᲣᲜᲐᲕᲘ: ᲛᲝᲖᲐᲠᲓᲘ ᲗᲐᲝᲑᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲛᲮᲠᲘᲕᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲐ

## საქართველოს მასწავლებელთა დიდი ფორუმი

**9 ნოემბერს** თბილისში, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში გაიხსნა საქართველოს პედაგოგთა ფორუმი, რომლის მონაწილეთა უყრადღების ცენტრში დგას ახალი მოჭნები, სკკპ XXVI ყრილობამ რომ დაუსახა ქვეყნის მთელ განათლების სისტემას. რესპუბლიკის მასწავლებელთა V ყრილობის 1036 დელეგატი სამი დღის მანძილზე იმსჯელებს მოზარდი თაობის სწავლების შრომითი და ზნეობრივი აღზრდის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანებზე.

ყრილობებს შორის პერიოდში რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაფართოვდა განათლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა — აშენდა 400-ზე მეტი ახალი სკოლა, აქედან სამი მეოთხედი —სოფლად. ერთიორად გაიზარდა სოფლად ბავშვთა რიცხვი სკოლამდელ დაწესებულებებში, წინა წლებთან შედარებით გაეცალენი მეტია აშენებული სკოლა-ინტერნატები, სპორტული სკოლები, პიონერთა სახლები და სხვა სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებანი. სასწავლო პროცესი რესპუბლიკის სკოლებში მკვეთრად უკავშირდება ენმნენელოვანესი ზოგად-სახელმწიფოებრივი ამოცანების გადაწყვეტას. შრომითი აღზრდა როგორც სოფლად, ისე ქალაქად, აიტეორებს მოსწავლეთა მონაწილეობას სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში, მასობრივი მოთხოვნილების საქონლის გამოშვების გაფართოებაში.

რესპუბლიკაში ლენინური ეროვნული პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელების მეოხებით ქართულ და რუსულ სკოლებთან ერთად ფართოვდება იმ სასწავლებელთა ქსელი, სადაც სწავლება წარმოებს სომხურ, აზერბაიჯანულ, აფხაზურ და ოსურ ენებზე. ყრილობებს შორის პერიოდში ამ ეროვნებათა ბევრნაირ და ქართულენოვანი სკოლები.

დილის 10 საათია. პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, სსრ კავშირის განათლების მინისტრი მ. ა. პროკოფიევი, სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი მ. ი. კონდაკოვი, ამხანაგები პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ეფუქიძე, თ. ნ. მენთეშაშვილი, ტ. ვ. როსტომაშვილი, დ. ლ. ქართველიშვილი, ო. ე. ჩერქეზიანი, ბ. ვ. ადლეიბა, თ. ი. მოსაშვილი, ი. ნ. ორკონიკიძე, ფ. ს. სანაკოევი, სრულიად საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ვ. ფედოტოვა.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობენ მოსკოვი და ლენინგრადელი სტუმრები, მოძმე მოკავშირე რესპუბლიკების წარმოგზავნილნი, მინისტრები, თვალსაჩინო მეცნიერები, კულტურის მოღვაწენი, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა ო. დ. ქინქლაძემ საქართველოს მასწავლებელთა V ყრილობა გახსნილად გამოაცხადა, ეღერს სსრ კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

აირჩიეს ყრილობის ხელმძღვანელი ორგანოები — საპრეზიდიუმო, სამდივნო, სამანდატო და საინდიკეთო კომისიები.

ყრილობის დელეგატთა ტაშის გრიალში სპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

დამტკიცდა ყრილობის დღის წესრიგი.

საქართველოს მასწავლებელთა V ყრილობის დელეგატები დიდი ქმაყოფილებით შეხვდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მისალმებას, რომელიც წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ნ. ენუქიძემ.

მოხსენებანი გააკეთა საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა ო. დ. ქინქლაძემ.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობდნენ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსი ლ. თ. ჩიქვანაია, სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო მაჩხაანის საშუალო სკოლის მასწავლებელი ე. ა. ჭაბაშვილი, აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრი თ. ნ. კოლონა, საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომის პირველი მდივანი თ. შ. იმედაძე, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ნ. ვ. დუმბაძე, თიანეთის რაიონის სოფელ არტნის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი მ. ვ. ჯიმშიტაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე რ. ა. გოგლიძე, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი გ. დ. მგელაძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი ე. კ. ხარაძე, აკადემიკოსი ასსრ განათლების მინისტრი ვ. მ. წულაია, თბილისის № 148 საშუალო სკოლის დირექტორი ლ. ა. სერდიუკი, საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ტ. რიგვავა, ლაგოდეხის სკოლა-ინტერნატის უფროსი აღმზრდელი ვ. კ. ღვედაშელი, გორის რაიონის ძევრის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, მშობელთა პედაგოგიური საზოგადოების თავმჯდომარე ვ. ზ. სუხიშვილი, ახალქალაქის რაიონის სოფელ ხულგუმოს საშუალო სკოლის მასწავლებელი ტ. ა. პოზოიანი.

ყრილობის დელეგატებმა დაამტკიცეს სამანდატო კომისიის ანგარიში, რომელიც გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ, მარნეულის რაიონის სოფელ წერაქვის დაწყებითი სკოლის მასწავლებელმა გ. ვ. აბრამიამ.

საქართველოს მასწავლებელთა ყრილობას მიესალმნენ მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსი ლ. თ. ჩიქვანაია, ბორჯომის № 1 სასაბაჟო ბიბლიოთეკის ლ. ბ. ბაბაანის საშუალო სკოლის მასწავლებელი ნ. ბ. ჯაბეტანი, რუსეთის სფსრ განათლების მინისტრის მოადგილე დ. მ. ზაბროდინი, უკრაინის სსრ-განათლების მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. ტარანენკო, ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსის მოადგილე ე. ი. ალეკსი, ბელორუსის სსრ განათლების მინისტრის მოადგილე რ. ი. სერნოვი, ზუბრეევეთის სსრ განათლების მინისტრი ს. შ. შერმუხამედოვი, ყაზახეთის სსრ განათლების მინისტრი კ. ბ. ბალაბეკოვი.

10 ნოემბერს საქართველოს მასწავლებელთა V ყრილობა მუშაობას განაგრძობს. (საქინფორმი).

## ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲐᲐ

**8 ნოემბერს, მასწავლებელთა V რესპუბლიკური ფორუმის მუშაობის დაწყებამდე ერთი დღით ადრე, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან საქართველოს ჩამოსული დელეგატები შეხვდნენ თბილისის სკოლების კოლეკტივებს. ამ შეხვედრების მიზანი ნათელი და კონკრეტული იყო: დიდი პედაგოგიური საბჭოს წინ ერთმანეთისთვის გაეზიარებინათ შეძენილი გამოცდილება, კიდევ ერთხელ განეხილათ საერთო პრობლემები, დაეხასათ მთავარი ტენდენციები, რომელთა შესახებისაც უნდა განვითარდეს და დაიხვეწოს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი.**

### „ᲓᲐᲥᲘᲝᲜᲘᲓᲐᲜ“ — ᲛᲮᲔᲓᲠᲣᲚ ᲝᲚᲢᲐᲢᲝᲜᲐᲛᲓᲔ

**თბილისი** ტ. გ. შევჩენკოს სახელობის № 66 საშუალო სკოლის მისამართი ტყუილად არ შეუტანიათ პროგრამაში შეხვედრების ორგანიზატორებს. სკოლა სამართლიანად ითვლება ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო სასწავლებლად. სამეცნიერო-პატრიოტული მუშაობის დაყენების საქმეში. ამას დამაჯერებლად მოწმობს სსრ კავშირის განათლების სამინისტროს, სრულიად საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის, დოსააფის ცენტრალური კომიტეტის მრავალი პირველი ხარისხის დიპლომი და სპატიო სიგელი, საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის გმირელი. უფრო მეტიც, სწორედ ამ სკოლაშია დაწყებითი სამხედრო მომზადების რესპუბლიკური მეთოდიური კაბინეტი.

სკოლას ეწვია ყრილობის დელეგატთა ჯგუფი — აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკის მასწავლებლები ავტონომიური რესპუბლიკის განათლების მინისტრის თამარ კოღონიას მეთაურობით.

— სამხედრო-პატრიოტულ აღზრდას უპირველეს ყურადღებას ვუთმობთ, — ხაზგასმით აღნიშნა სტუმრებთან საუბრისას სკოლის დირექტორმა ირინე ნაზარენკომ. — ეს მთელი ჩვენი კოლექტივის — ოთხმოცი გამოცდილი პედაგოგის უმთავრესი საზრუნავია. ალეკსანდრე გრიგორიევი, რომელიც მრავალი წელია ხელმძღვანელობს დაწყებითის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

დამტკიცდა ყრილობის დღის წესრიგი.

საქართველოს მასწავლებელთა V ყრილობის დელეგატები დიდი ქმაყოფილებით შეხვდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მისალმებას, რომელიც წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ნ. ენუქიძემ.

მოხსენებანი გააკეთა საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა ო. დ. ქინქლაძემ.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობდნენ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსი ლ. თ. ჩიქვანაია, სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო მაჩხაანის საშუალო სკოლის მასწავლებელი ე. ა. ჭაბაშვილი, აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრი თ. ნ. კოლონა, საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომის პირველი მდივანი თ. შ. იმედაძე, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ნ. ვ. დუმბაძე, თიანეთის რაიონის სოფელ არტნის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი მ. ვ. ჯიმშიტაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე რ. ა. გოგლიძე, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი გ. დ. მგელაძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი ე. კ. ხარაძე, აკადემიკოსი ასსრ განათლების მინისტრი ვ. მ. წულაია, თბილისის № 148 საშუალო სკოლის დირექტორი ლ. ა. სერდიუკი, საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ტ. რიგვავა, ლაგოდეხის სკოლა-ინტერნატის უფროსი აღმზრდელი ვ. კ. ღვედაშელი, გორის რაიონის ძევრის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, მშობელთა პედაგოგიური საზოგადოების თავმჯდომარე ვ. ზ. სუხიშვილი, ახალქალაქის რაიონის სოფელ ხულგუმოს საშუალო სკოლის მასწავლებელი ტ. ა. პოზოიანი.

ყრილობის დელეგატებმა დაამტკიცეს სამანდატო კომისიის ანგარიში, რომელიც გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ, მარნეულის რაიონის სოფელ წერაქვის დაწყებითი სკოლის მასწავლებელმა გ. ვ. აბრამიამ.

საქართველოს მასწავლებელთა ყრილობას მიესალმნენ მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსი ლ. თ. ჩიქვანაია, სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო მაჩხაანის საშუალო სკოლის მასწავლებელი ნ. ბ. ჯაბეტანი, რუსეთის სფსრ განათლების მინისტრის მოადგილე დ. მ. ზაბროდინი, უკრაინის სსრ-განათლების მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. ტარანენკო, ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსის მოადგილე ე. ი. ალეკსი, ბელორუსის სსრ განათლების მინისტრის მოადგილე რ. ი. სერნოვი, ზუბრეევეთის სსრ განათლების მინისტრი ს. შ. შერმუხამედოვი, ყაზახეთის სსრ განათლების მინისტრი კ. ბ. ბალაბეკოვი.

10 ნოემბერს საქართველოს მასწავლებელთა V ყრილობა მუშაობას განაგრძობს. (საქინფორმი).

## ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲑᲘᲗᲘ ᲨᲔᲯᲐᲛᲙᲔᲡ

**რევოლუციის** დიდი ბელადის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ხსოვნას მიაგეს პატივი 9 ნოემბერს თბილისში გახსნილი საქართველოს მასწავლებელთა V ყრილობის დელეგატებმა და სტუმრებმა.

9 საათია. ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე აღმართული ბელადის ძეგლი გვირგვინით შეამკეს აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკის, აჭარის ასსრ რესპუბლიკის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქუთაისის, ფოთის, ბორჯომის, მაიაკოვსკის, დუშეთის, რეპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების წარმომადგენელთა ელ მ ფ დელეგატებმა.

ამავე დღეს გვირგვინით შეამკეს გამარჯვების პარკში დაკრძალული უცნობი ჯარისკაცის საფლავი. (საქინფორმი).

## ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘ

**ᲒᲠᲐᲓᲘᲪᲘᲐᲓ** იქცა კონკურსი „ქალაქის საუკეთესო მასწავლებლის“ წოდებისათვის, რომელიც თბილისში პირველად შარშან გაიმართა. წელს ამ კ

**ᲕᲐᲠᲪᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ:**
**ᲐᲜᲑᲐᲠᲘᲜᲒᲑᲐ-ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ**

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ: ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘᲡ ᲙᲕᲚᲔᲕᲐ-ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ** ᲡᲡᲠ მეცნიერებათა აკადემიის ი. ა. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი რესპუბლიკის ერთ-ერთი წამყვანი მრავალპროფილიანი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებაა. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის საკითხების გარდა, აქ მეშვიდეწლეულ საქართველოს წყაროთმცოდნეობის, ანთროპოლოგიის, ისტორიულ-გეოგრაფიის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს. ამასთან, ამ პრობლემებს სწავლობენ არა იზოლირებულად, არამედ რესპუბლიკის მეზობელი რეგიონების ისტორიასთან მჭიდრო კავშირით.

ათწლეულების მანძილზე ინსტიტუტში ჩამოყალიბდა მეცნიერთა კოლექტივი, რომელსაც დიდი პოტენციალი აქვს და რომელიც აღზრდილია ქართული ისტორიოგრაფიის საუკეთესო ტრადიციებზე. დიდი აღიარება მოიპოვა აქ შექმნილმა ძველი ალმოსავლეთის ისტორიისადმი ინტერესის ფენომენმა. ამ სამეცნიერო კედლებში ჩაისახა ქართველ ეთნოგრაფთა სკოლა. ამ სამეცნიერო დაწესებულების თანამშრომელთა შრომები მრავალგზის აღინიშნა უმაღლესი საკავშირო და რესპუბლიკური, საუუნდო პრემიებით, საქართველოს კომკავშირის პრემიებთა და სხვა საპატიო ჯილდოებით.

ინსტიტუტის საქმიანობაში ღირსშესანიშნავი ნიშანსვეტი გახდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის 3 აგვისტოს დადგენილება ამ სამეცნიერო დაწესებულების შესახებ, დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრულია კვლევითი მუშაობის შემდგომი გაფართოება, თანამედროვეობასთან მისი დაკავშირების ძირითადი მიმართულებანი და ამოცანები. ინსტიტუტის პარტიულმა ორგანიზაციამ, მთელმა კოლექტივმა ბევრი რამ გაკეთებულ მათთვის უდიდესად მნიშვნელოვანი ამ პარტიული გადაწყვეტილების მოთხოვნათა განსაზორციელებლად. მაგრამ კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს გამოკვლევების შემდგომი სრულყოფისათვის, მათი ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის, სამეცნიერო პოტენციალის უფრო სრული რეალიზაციის და მისი მატერიალური ბაზის გაუმჯობესებისათვის.

ამ სამეცნიერო და, თავისი სპეციფიკის წყალობით, იდეოლოგიური ცენტრის კოლეგიტეს ბევრი რამ აქვს საამაყო. რეკომენდან კოლეგიტურ ნაშრომს „საქართველოს ისტორიის ნარკვევებს“ საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია მიენიჭა. გამოცდა სამეცნიერეს „საქართველოს მეშვიდე კლასის ისტორიის“ პირველი ტომი. წარმატებით გრძელდება მუშაობა „თბილისის ისტორიის“ სამტომეულზე და „საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ატლასზე“, სხვა მნიშვნელოვან გამოკვლევებზე, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული სსრ კავშირის შემნის 60 წლისთავსა და გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერის 200 წლისთავთან.

ინსტიტუტის თეორ სამეცნიერო-კვლევითის საქმიანობაში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს მისი პარტიული ორგანიზაცია, რომელშიც დაახლოებით 130 კომუნისტია — თითქმის ყოველი მეორე თანამშრომელი. და, ბუნებრივია, კოლექტივში მთ ავაგნარდულ როლზე დიდად არის დამოკიდებული ინსტიტუტის მეცნიერული ნამუშევრებისა და კვლევის ეფექტიანობა.

ეს და სხვა საარსებო პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია კოლეგიტურ იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომ სრულყოფისათვის სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად, ინსტიტუტის საანგარიშო-საარჩევნო პარტიულ კრების ყოველმხრივი განხილვის საგანი გახდა.

საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც გააკეთა პარტიული ბიუროს მდივანმა, უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ნ. ზახარაძემ, დაწერილებით იყო განხილული ინსტიტუტის ცხოვრებიდან გასულიფლების მუშაობა. მოხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ვ. დემბაძემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორებმა ა. რობაქიძემ, ნ. სტურუამ, ს. ჩხარტიშვილმა, უფროსმა მეცნიერმა თანამშრომლებმა თ. თოდრიამ, ჯ. რუხაძემ, ინსტიტუტის დირექტორმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ფალავანდიშვილმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს მუშაობის დაკისრებულ უბანზე. მთელ კოლექტივში საქმეების მდგომარეობისათვის კომუნისტების პასუხისმგებლობის ამაღლების საკითხებს. საგანგებოდ აღინიშნა, რომ სწორედ პარტიულმა ორგანიზაციამ უნდა შექმნას ნამდვილად შემოქმედებითი ატმოსფერო, რომელიც უზრუნველყოფს მეცნიერთა შრომის მაღალ შედეგიანობასა და ხარისხს.

უკანასკნელ წლებში დამკვიდრდა ბორჯომში ისტორიკოსთა შეხვედრების მოწყობის კეთილი ტრადიცია. ეს შეხვედრები ისტორიის მეცნიერების განვითარებისათვის საერთაშორისო პარტიული ორგანიზაციის დაუცხრომელი ზრუნვის კიდევ ერთი თვალსაჩინო დადასტურება გახდა.

